საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 20 / დეკემბერი / 2021 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000010156334721

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება № 2-1/508

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1_ლი პუნქტის „ე.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის 1_ლი, მე-2, მე-5 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლებისა და შესაბამისად, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თავისუფლებათა ქარტიის (საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმების) დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N2-1/497 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თავისუფლებათა ქარტიის (საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმების) დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N2-1/497 ბრძანებით გათვალისწინებული, საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სათემო საზოგადოებრივი საბჭოების არჩევნების დებულება".

2.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ხარჩილავა